

ხათუნა დამჩიქვე, ნინო მახარაძე (†)  
(საქართველო)

### ცეკვა ლეკციი

ცეკვა „ლეკურის“ სახელდებისა და წარმომავლობის შესახებ ჯერ კიდევ საუკუნის წინ დაიწყო მსჯელობა. საკითხის დასმის ინიციატორი პირველი ქართველი პროფესიონალი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ალექსი ალექსიძე (სონღულაშვილი), გახდავთ. აღნიშნული პრობლემა მეცნიერული თვალსაზრისით ჯერ კიდევ გადაუჭრელია, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ლოგიკური და მისაღებია ქართული ხალხური ქორეოგრაფის მცოდნების — ქორეოლოგების: ლილი გვარამაძის (გვარამაძე, 1957: 140), ავთანდილ თათარაძის (თათარაძე, 1999: 132, 158), დავით ჯავრიშვილის (ჯავრიშვილი, 1951: 10), რეზო ჭანიშვილის (ჭანიშვილი, 2002: 98) მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ქალ-ვაჟთა „ლეკურის“ ქართულობისა და უცხოელების მიერ სხვადასხვა ცეკვის მიმართ რუსული ტერმინ — ლეზგინკას, ქართულად ლეკურის არამართებული გამოყენების შესახებ. ჩვენ შევეცდებით მეტი სიღრმე შევძინოთ საკითხის კვლევას სხვადასხვა ასპექტის განხილვით.

ცეკვის — „ლეკური“ — წარმომავლობისა და სახელდების გამოსარკვევად პირველ რიგში უნდა გამოიკვეთოს: 1. ეპოქა, რომელშიც ტერმინი ჩნდება; 2. „ლეკურით“ სახელდებულ საცეკვაო ნიმუშთა ნაირგვარობა; 3. ცეკვა ლეკურის სოციალური სტატუსი, დიალექტური ვარიანტები, სტრუქტურა, საცეკვაო ლექსიკა.

XIX საუკუნის განმავლობაში წერილობით წყაროებში ტერმინების, „ცეკვა“ და „თამაში“, პარალელურად გამოყენებულია ტერმინი „ლეკური“. გვხვდება: 1. ქალთა ლეკური; 2. ვაჟთა ლეკური; 3. ქალ-ვაჟის ანუ წყვილის ლეკური. როდესაც იტყოდნენ — „კარგი მოლეკურეა“, იგულისხმებოდა „კარგი მოცეკვავე“. ზემოჩამოთვლილი სამი სახის ლეკური, როგორც სახელწოდებიდან გამომდინარეობს, შემსრულებელთა გენდერულ დიფერენცირებასაც შეიცავს. შესაბამისად, განსხვავდებოდა მათი საცეკვაო ლექსიკა, ცეკვის არქიტექტონიკა, ხსიათი, მუსიკალური თანხლება. ამგვარად, ასერგად განსხვავებულ საცეკვაო კომპოზიციებს ერთი და იმავე სახელწოდება ვერ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ტერმინი ლეკური განზოგადდა და ყოველგვარი ცალად თუ წყვილად შესასრულებელი ცეკვის აღმნიშვნელად იქცა.

როგორც ცნობილია, ცეკვა როგორც სიცრცესა და დროში განფენილი შემოქმედება, საუკუნეების განმავლობაში არ ფლობდა არაგითარ საშუალებას, რათა რაიმე სახით დაფიქსირებულიყო და ჩვენამდე მოსულიყო. მას არ გააჩნდა დამაგრების საშუალებები ისეთი, როგორც გააჩნია მუსიკას ნოტის სახით და ლიტერატურას ალფაბეტის სახით. აქედან გამომდინარე, ბევრი საცეკვაო ნიმუში, რომელმაც ცოცხალ ყოფაში არსებობა ვერ გააგრძელა, დაიკარგა. საცეკვაო მოძრაობები პოზებისა და მდგომარეობების სახით დაფიქსირდა ნახატებზე თუ ფოტოებზე, თუმცა სტატიკურ, ერთ მომენტში გაჩერებულ პოზას არ აქვს საშუალება მთლიანი საცეკვაო სურათის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდოს. ამ მოცემულობაში ყველაზე გამოყენებადი და ინფორმატიული ლიტერატურულ წყაროებში დაცული აღნერილობითი მასალაა, სადაც მეტ-ნაკლებად ასახულია როგორც საცეკვაო ნიმუშის არქიტექტონიკა, შემსრულებლები და საცეკვაო ლექსიკა, ასევე. ინსტრუმენტები და მუსიკალური თანხლება, თუნდაც დასახლებების სახით.

ქალთა ლეკური, როგორც სურათებიდან ჩანს, უფრო მშვიდი, ნაკლებად დინამიური ფრესკული სახის ცეკვა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ქალთა ლეკურის მოძრაობები-

სა და არქიტექტონიკის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს. ქალთა ლეკურის შესახებ ვასილი ტიმის, გრიგოლ გაგარინის, მიხეილ ლერმონტოვის ფერწერული ტილოები, ვიზუალური აღქმის გათვალისწინებით, უაღრესად საინტერესოა, თუმცა, ნაკლებად ინფორმატული თავად ცეკვის ნაგებობისა და საცეკვაო ლექსიკის შესახებ ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით. სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში დაცულ ვერბალურ აღწერილობაში გარკვეული სახის კონკრეტიკას ვხვდებით: „ორი პატარა გოგონა ხალიჩაზე ცეკვავდა რომელილაც მიმიკურ ცეკვას; ისინ არ ხტუნავდნენ, არამედ თითქოს დასრიულებდნენ მინაზე და ხელებს შლილნენ. მუსიკა არ ყოფილა, დოლი და ზოგჯერ ტაში ალნიშნავდა ტაქტს“ (Гакстгაუზენ, 1857: 103). ქალთა ლეკურის შესახებ ინფორმაცია დაცულია ძველი გაზეთების ფურცლებზე<sup>1</sup>.

მამაკაცთა ლეკურის შესახებ ცნობილია, რომ ცერიდეთებით, ჩაკვრებით დატვირთული დონამიური ცეკვა იყო ერთი ან ორი შემსრულებლით. პარონ დე ბაის ფოტოზე კი, ორი ხმალშემართული მამაკაცი ცეკვავს ლეკურს (დე ბაი, 2011: 44).

სოფელ მატანში, საღამო ხანს, თავად ჩოლოყაშვილის სახლში „ზოგჯერ მასპინძელი იღებდა დაირას, განსაკუთრებული სიმარჯვით სცემდა მას ლეკურის ტაქტში, რომელიც წარმოადგენდა ერთადერთ გავრცელებულ (ყოფაში მიღებულ) ცეკვას და ვინც უფრო ახალგაზრდა და მარჯვე იყო, გადაეშვებოდა საცეკვაოდ. ზოგჯერ იქვე სუფრაზე თევზებს შორის, ასრულებდნენ ისეთ ილეთებს და ფოკუსებს და ყოველივეს ისე მოხერხებულად, გრაციოზულად, რომ წამდვილად შეიძლებოდა სცენაზე ეჩვენებინათ; დამსწრე საზოგადოება ტაქტს აყოლებდა ტაშისცემას და შეძახილებით გამოხატავდა კმაყილებას“ (Зиссерман, 1867: 28). აյ ზისერმანს — „ერთადერთ გავრცელებულ“ — ფორმულირებასთან დაკავშირებით ვერ დავვთანხმებით.

ქალ-ვაჟის „ლეკური“, რომელიც დღესდღეობით „ცეკვა ქართულის“ სახელწიდებას ატარებს, მაღალი სოციალური წრის ცეკვასა და „დავლურთან“ ერთად, ერთადერთიც ამ კლასიფიკაციაში. ცეკვას გააჩნია ხალხური დიალექტური ვარიანტები, თუმცა ნიმუში, რომელსაც ჩვენ ცეკვა „ქართულს“ ვუწოდებთ, თავისი ესთეტიკით და კონსტრუქციით განსხვავდება არა თუ ლეკური, არამედ ქართული ხალხური ვარიანტებისგანაც. ილია ზურაბიშვილი ქართულ ლეკურს სამ ნაწილად ყოფება: „1. სათანადო დასაწყისი — „შორით ბნედა, შორით აღვა“; 2. მას აქვს განვითარება - „კაცსა მიხვდეს სანადელი, რას ეძებდეს უნდა პოენა“; 3. მას აქვს დასასრული - სიყვარული აგვამაღლებს“. გასსოფლეთ, ლეკური ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრდება, რომ ვაჟი ქალს არც ერთხელ არ ეხება“ (ზურაბიშვილი, 1949: 20).

დღესდღეობით „ცეკვა ქართულის“ სასცენო ვარიანტი ხუთანილიანია მეტად დაკონკრეტებული დრამატურგიული ქარგით, თუმცა ზემოთ განსაზღვრულის სრული შემცველობითა და არსის შენარჩუნებით: 1. ექსპოზიცია — ვაჟის გამოსვლა საცეკვაოდ; 2. ქალის მიპატიურება და ქალ-ვაჟის მიერ საცდელი წრის შემოვლა; 3. ვაჟის ცალად ცეკვა (სოლო); 4. ქალის ცალად ცეკვა (სოლო); 5. დასკვნითი ნაწილი: ქალ-ვაჟის ცეკვა - საფინალო კოდა. ლეკურ-ქართულის სტრუქტურულ-კომპოზიციურ განთვინილობაში უმნიშვნელოვანესია ციკლურობა — პირველი ეპიზოდით დაწყებული ბოლო პასაჟით დასრულებული, ცხოვრების, ყოფიერების ფილოსოფიური გააზრება ქრონოლოგიურ-სიუჟეტურ ქარგაში ეტაპობრევად იკვეთება და ქმნის ერთიან უწყვეტ დრამას ფინალით. სწორედ, აღნიშნული ასპექტი განასხვავებს მას დიალექტური ნაირსახეობებისაგან. ხალხურ „ლეკურში“ სიუჟეტური ქარგის დასასრული, როგორც ასეთი, არ არსებობს და საცეკვაო პროცესი უწყვეტია მოცეკვავე წყვილთა პერიოდული ცვლით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალ-ვაჟის „ლეკურის“ სასცენოდ შემორჩენილი ვერსია, შეიძლება

<sup>1</sup> „დროება“, წერა-კითხვის საზოგადოების ბალი, №39, თებერვალი, 1881.

ითქვას, ყველაზე ავთენტიკური ნიმუშია ქართულ ხალხურ საცეკვაო ნაწარმოებთა შორის, რადგან, ფერი, რომელმაც იგი წარმოშვა, გამქრალია როგორც კლასი და მასთან დაბრუნების საშუალება აღარ გაგვაჩნია, ხოლო საცეკვაო ნიმუში, ფაქტობრივად, უმცირესი საავტორო გავლენით აღინიშნება, ცვლილება მხოლოდ შესრულების მანერამ განიცადა და ისიც მხოლოდ დროში ტრანსლაციით განპირობებული.

ცეკვის შესრულების არისტოკრატულმა მანერამ განაპირობა დახვეწილობა, რომელიც ცეკვას ახლავს. ხალხური ვარიანტი არ ხასიათდება ამგვარი აკადემიზმით. ცეკვის არისტოკრატული მანერის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გარემომ, რომელშიც მან სრულყოფილებას მიაღწია — თავადაზნაურთა სახლები და სასახლეები, დარბაზები, სწორი იატაკი, სადაც როგორც გასმების მრავალფეროვნების, ასევე, ქალის სრიალით გადაადგილების საშუალება იქმნებოდა, განსხვავებით სოფლის შეკრების ადგილებისგან, სადაც ტანის მდგრადობის იმგვარად დაფიქსირება ვერ მოხერხდებოდა.

ისტორიულად, როგორც ცნობილია, ქალ-ვაჟის ცეკვა „ლეკური“ ორი ნაწილისაგან შედგებოდა - 1. „დავლური“ და 2. „ლეკური“. „დავლური“, სახელდებული მოძრაობისაგან „დავლა“, რომელიც თავის მხრივ დაულ-დოლისგან უნდა წარმოსდგებოდეს, ქართული ტერმინია და „დავლით“ წრის შემოვლას აღნიშნავს. მისი აგებულება, როგორც ლიტერატურული აღნერილობითი წყაროებითა და ქორეოლოგების ინფორმაციით დგინდება, იგივე არქიტექტონიკით, მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლებითა და საცეკვაო ლექსიკით ხასიათდებოდა, როგორც მისი მეორე ნაწილი — „ლეკური“, განსხვავება მხოლოდ ტემპში მდგომარეობდა. „დავლური სრულდებოდა ნელა, ზემოურად, ხოლო შემდეგ იგი გადადიოდა უფრო აჩქარებულ ცეკვაში. ამასთან ორსავე ნაწილს შესრულების ერთნაირი ფორმა და ტექნოლოგია ჰქონდა. სამწუხაროდ, ცეკვა ასეთი პარტიტურით ჩვენს დრომდე არ მოღწეულა“ (გვარამაძე, 1962: 55).

ალექსი ალექსიძემ, რომელმაც ცეკვა თბილისში ქუჩის მოხეტიალე მოცეკვავე ლეკებისგან ისნავლა, შესანიშნავად იკოდა ჩრდილოკავკასიური, განსაკუთრებით, დაღესტური (ლეკური) და ქართული ცეკვა. იგი უარყოფდა „ლეკურის“, ლეკურობას და აღნიშნავდა, რომ თუ „ლეკურის“ პირველი ნაწილი — „დავლური“ — ქართულია, არალოგიკურია, რომ მეორე ნაწილი „ლეკურით“ ყოფილიყო სახელდებული: „თუ თავი ჩვენია, ბოლოც ჩვენია“ — ამბობდა ის (გვარამაძე, 2017: 42).

აქედან გამომდინარე, გვიჩნდება კითხვა — რამ გამოიწვია, რა მიზეზი უნდა არსებულიყო, რომ ერთიანი კომპოზიციის პირველი ნაწილი ქრმინით, ხოლო მეორე, წარმომავლობის დამიტორული ინფორმაციით, ლეკურით არის ცნობილი.

ი. ზურაბიშვილის წერილში, რომელიც მონოლოგიურ სტილში შესრულებული, მოსაუბრები მსჯელობები ცეკვა „ლეკურს“ სახელდებისა და წარმომავლობის შესახებ, ერთმანეთს ადარებენ ლეკურ (ანწუხურ) „ლეკურსა“, და ქართულ წყვილურ „ლეკურს“, იძლევიან ინფორმაციას სრული საცეკვაო ნაგებობისა და მუსიკალური თანხლების შესახებ. თუმცა, ანწუხური მამაკაცთა ლეკურისა და ქართული წყვილური ლეკურის დაპირისპირება არ მიგვაჩნია მამაკაცთა ლეკური მხოლოდ ვაჟთა ლეკურთან უნდა დაპირისპირებულიყო, რომელიც, ასევე, ქართულ საცეკვაო სივრცეშიც არსებობდა. ავტორი წერილის დასაწყისში ახსენებს ლეკურის მუსიკალურ ინსტრუმენტებს და აღნერს საცეკვაო კომპოზიციას სრულად. იგი არ გვაწვდის ინფორმაციას „დავლურის“ საცეკვაო მუსიკის შესახებ, მაგრამ ლეკურის დასაწყისში ამბობს, რომ მუსიკოსებმა დაინყეს ანწუხური ლეკურის შესრულება. ანწუხი დაღესტანში მდებარეობებია, ანწუხელები ლეკური ტომია, რომელიც განსაკუთრებულად იყო ინტეგრირებული საქართველოსთან.

საინტერესოა, რატომ იცეკვა წყვილმა ლეკურ მუსიკაზე და არა ქართულზე. ეს დეტალი მეტად სიმპტომატურად მივიჩნიე და ვთვლი, რომ ცეკვა „ლეკურის“ სახელდების

ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ საცეკვაო მუსიკაა, რომელიც აღნიშნულ ეპოქში შემოიჭრა ქართულ მუსიკალურ სივრცეში. სავარაუდოდ, ლეკურმა მუსიკამ დაიწყო თანაარსებობა ქართულთან და როდესაც იტყოდნენ — „ლეკური დაუკარითო“, მასზე სხვადასხვა ცეკვა სრულდებოდა.

რაც შეეხება მოძრაობას, ცნობილია, რომ ჩრდილოკავკასიურ და ქართულ ილეთებს შორის ანალოგიები არსებობს, მაგ.: ცერილეთები, მუხლილეთები, გასმათა და ჩაკვრათა ნაირსახეობები. არ ვაყენებთ ეჭვქვეშ ვაჟთა ლეკურის მსგავსებას ჩრდილოკავკასიურ ვაჟთა საცეკვაო კომპოზიციებთან დაკავშირებით, მაგრამ ქალ-ვაჟთა „ლეკური“ სრულიად თვითმყოფადი და თავისთავადი ელემენტია როგორც კონფიგურაციული სქემით, ასევე, ლექსიკური და საშემსრულებლო ფაქტორის გათვალისწინებით.

ამგვარად, ცეკვა ქალ-ვაჟთა „ლეკურის“ სახელდებისა და ნარმომავლობის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ: 1. ტერმინი „ლეკური“ გამოიკვეთა, როგორც კავკასიურ ქორეოგრაფიულ შემოქმედებაში ცალად ან წყვილად ცეკვის განზოგადებულად აღმნიშვნელი; 2. ტერმინი ჩნდება მას შემდეგ, რაც რუსები ჩნდებან საქართველოში — XIX საუკუნეში; 3. ტერმინი შესაძლოა შემოჰყვა ლეკურ მუსიკალურ კომპოზიციებს; 4. მსგავსება არსებობს ვაჟთა მთიულურ და ვაჟთა ლეკურ ცეკვებს შორის საცეკვაო ლექსიკის თვალსაზრისით; 5. ქალ-ვაჟთა „ლეკურს“ გააჩნია სრულიად გამოკვეთილი თვითმყოფადი გამომსახველობა — კონფიგურაციული სქემა, სტრუქტურა, რომლის სრული სურათი წარმოადგენდა „დავლურისა“ და ე.ნ. „ლეკურის“ ორნაწილიან საცეკვაო კომპოზიციას.

\*\*\*

რაც შეეხება ეთნომუსიკოლოგიურ ხედვას, ამ საკითხზე საგანგებო ნაშრომი არ არსებობს. ქართველ მუსიკოსთაგან „ლეკურს“, უფრო სწორედ, ისევ მის სახელწოდებასთან დაკავშირებულ თემას გიორგი სვანიძე (1962) და გრიგორ კოკელაძე შეეხენ (1970, 1977).

თუ გავიზინარებთ მიღებულ თვალსაზრისს, რომ ლეზგინკა-ლეკური მე-19 ს. რუსების მიერ კავკასიელ ხალხთა ცეკვების აღმნიშვნელი ზოგადი სახელია<sup>2</sup> და არსებობს დაღესტნური, ყაბარდოული, ოსური, აფარული, ჩეჩენური, ინგუშური, ქართული და ა.შ. გლეზგინკები — ლეკურები — ცეკვები და თითოეულში შეგნით კიდევ ვაჟთა, ქალთა და წყვილთა ცეკვების საოცარი მრავალფეროვნებაა, გამოდის, რომ მთელი ქართული საცეკვაო მუსიკის (სათამაშოების, საცეკვარების, საფუნდრულების, ოსხაპურების და ა.შ.) ინტონაციურ მასალაზე მოგვიწვევს მსჯელობა. მეორე მხრივ, რადგან „ლეკური“ ქალ-ვაჟის წყვილის, ანუ ცეკვა „ქრთულას“ სახელად დამკვიდრდა, უშუალოდ ამ ცეკვის თანმხელები მაგალითების ანალიზი. ცხადია, ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ იმ ნიმუშებზე საუბრით შემოვიფარგლები, რომლებიც სანოტო და აუდიომასალაში უშუალოდ, „ლეკურის“ სახელწოდებითაა ფიქსირებული.

საინტერესოა, არის თუ არა მუსიკალურ თანხლებაში გამოვლენილი ჰანგების ლეკური წარმომავლობა? მეზობლად მცხოვრები ხალხების კულტურაში მსგავსი ელემენტების არსებობა არაა გასაკვირი. როგორც ვიცით, ჩრდ. კავკასიაში თემურ ლენგის შემოსევამდე (XIV ს. მეორე ნახევარი) ქრისტიანობა იყო გავრცელებული. ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები (ტაძრები, წარწერები) იქ ქართულ კვალზეც მიუთითებს. ერთიანობას ადასტურებს მსგავსი რიტუალები, წეს-ჩვეულებები, ფოლკლორული ჟანრები, სახეობრივი სფეროები, სიმღერები შემორჩენილი ბერათკომპლექსები (არირა, ვარადო, ორირარა), მელოდიის ტიპები, მრავალხმიანობის

<sup>2</sup> ანალოგიურად, ჩეჩენები დაარქვეს ჩოხას და კავკასიელ მამაკაცთა სამოსას.

ბურდონული ფორმა, ქორეოგრაფიული ფორმულები. ლილი გვარამაძის აზრით, ქართველები „ლეკურს“ დაღესტნელებისაგან მე-19 ს. ადრე ვერ გადმოიღებდნენ, რადგან ქართულ-დაღესტნური ურთიერთობები XVI-XVII სს-დან საკმაოდ მტრული იყო. ქართველთა და ლეკოთა ურთიერთობა არც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყობის შემდეგ გაუმჯობესებულა, თუმცა თარეში შეწყდა (გვარამაძე, 1997:164-165).

საგულისხმოა, რომ სულხან-საბა „ლეკურის“ სახელნოდების მქონე ცეკვას არ იცნობს. ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ლექსიკონში (მე-19 ს. დასახც.) და დავით ჩუბინაშვილთან (XIX ს. მეორე ნახ.) უკვე ვეზდებით ამ ტერმინს, როგორც დაღესტნური წარმოშობის ცეკვას, ერთგვარ როკვას<sup>3</sup>.

რუსულ მუსიკალურ ენციკლოპედიებში (Штпейნპ्रес, Ямпольский, [Реж.д.], 1966; ქელდაშ [Реж.д.], 1976) დაღესტნური „ლეზგინკას“ ზომა 6/8-ა. მისი მელოდია მკაფიო, დინამიური, ტემპი ჩქარია. ლეზგიკა — ცეკვა შეჯიბრია, რომელიც ახდენს მოცეკვავეთა მოქნილობის, ვირტუოზულობის, დაუოკებლობის დემონსტრირებას. აქვე მოცემულია ლეკურის ტიპური (ერთიდაგივე) სანოტო მაგალითი, რომლის ტემპიც რატომძაც ზომიერია. მსგავსი რიტმულ-ინტონაციური ფორმულა ჩვენთან ქალაქურ საცეკვაო ფოლკლორში ჩანს, რომელსაც ამჯერად არ ვეხებით. ერთს კი ვიტყვი, რომ XIX ს. მულტიკულტურულ თბილისში ლეკი ხელოსნები ცხოვრობდნენ. მაგალითად, 80-იან წნ. ალექსი ალექსიძის (სონლულაშვილი) ბიოგრაფიაში გვაქვს ცნობები მთაწმინდაზე მცხოვრები ლეკთა ჯგუფის უქმე დღებში ფულის საშოგელად სიარულის შესახებ. უფრო მეტიც, პირველი ქართველი ქორეოგრაფი სწორედ მათგან სწავლობს საცეკვაო ილეთებს (ბარამიძე, 2015:114).

დღემდე გამოქვეყნებულ არცერთ სანოტო კრებულში არ არის შეტანილი „ლეკურის“ სახელნოდების მქონე ცეკვა. „ლეზგინკას“ სახელით პრეველი და ერთადერთი სანოტო ჩანაწერი (ორი ვარიანტით) გვხვდება ფრანგი შურნალისტის შიულ მურიეს წიგნში (1883, სურ. 1,2) და მისსივე რედაქტორობით თბილისში დაბჭეჭდილი შურნალის ერთ-ერთ ნომერში (1889). მურიეს მიერ ფიქსირებული მასალა ამ ცეკვის არსებობას XIX ს. დასავლეთ საქართველოშიც (სამეგრელოში) ადასტურებს. წიგნის ლითოგრაფიაში (გვ. 340) ქალ-ვაჟის ცეკვის თანმხლებ საკავებად ჩინგური და დაირაა წარმოდგენილი. შურნალში კი ლეკურის ორი ვარიანტია. ერთს აქვს განმარტება — ქართული ცეკვა (ორნილად, ქართულთან არაფერი აქვს საერთო), მეორეს — კავკასიელი ჯარისაცების ცეკვა (სამწილადი, რომელის ქართულის მსგავსია).

„ლეკურის“ სანოტო ხელანერები დაცულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში (აუდიომაგ. 1); აუდიონიმუშები გვხვდება ეროვნული მუზეუმისა და კონსერვატორიის ლილვაკების კოლექციაში (აუდიომაგ. 2); ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თამარ მამალაძის მასალაში<sup>4</sup>; კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის საექსპედიციო ფონდიდან უნდა აღვნიშნო 1967 წ. კახი როსებაშვილის ჩანაწერები (აუდიომაგ. 3) და ოთარ ჩიჯვაძის მიერ „ლეკი ქალის სიმღერის“ სათაურით ჩანერილი ნიმუში (აუდიომაგ. 4).

სანოტო და აუდიომაგალითების ანალიზით ჰანგების ლეკური წარმომავლობა არ ჩანს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მე-19 ს. შემოსული საცეკვაოების ისეთ გაერთიანებასთან გექონდეს საქმე, რომ პირველწყარო ძნელი შესამჩნევი გახდა, ან იქნებ კვინტურსაყრდენიანი ფორმულების უფრო შორეულ გენეტიკურ კავშირებზე უნდა ვიფიქროთ?

<sup>3</sup> ორნილადი ნიმუში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულთან.

<sup>4</sup> სოფ. ჭოპორტში გაკეთებული ჩანაწერების სია შეიცავს ლეკურს გუდასტვირზე, მაგრამ აუდიომასალა აკლია.

არსებული ჩანაწერებით „ლეკური“ ქართლში სრულდება სალამურზე, გუდასტვირზე, ნიკო-ნიკოსა და დაირაზე, კახეთში, სალამურზე, გარმონსა და დოლზე; თუშეთში — სალამურზე, გარმონზე. სამეგრელოში ჩონგურსა და დაირაზე, აჭარაში ჭიბონზე, ქალაქურ მუსიკაში — დუდუკებსა და დოლზე. ყველა ეს ცეკვა ადგილობრივი მუსიკალური დიალექტის კანონზომიერებათა ჩარჩოშია მოქცეული. გასაგები მიზეზების გამო, ჩრდილოეთ კავკასიურთან მეტ სიახლოეს აღმოსავლურ-ქართული, განსაკუთრებით თუშური მასალა ავლენს. სახელნოდება „ლეკური“ სხვადასხვა დიალექტში სრულიად განსხვავდებული ცეკვების სახელნოდებად გამოიყენება და, მართლაც, ცეკვის განზოგადებულ სახელად ჩანს.

და ბოლოს, მაინც რატომ უკავშირდება ეს ფაქტი მაინცდამაინც ლეკებს? რუსებმაც რატომ განაზოგადეს მთელს კავკასიაზე „ლეზგინჯა“? ალბათ მართლაც იმიტომ, რომ ლეკები ცეკვის, პლასტიკური ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ხალხი იყო. სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს მასალის დეტალური ანალიზი, მამაკაცთა შეჯიბრის ტიპის ჩრდილოკავკასიური და აღმოსავლურქართული/მთიულური ცეკვების შედარებითი კვლევა — ანწუხური ცეკვის სასცენო ვარიანტ ბევრ კითხვას ბადებს. ღო-გორც ქორეოგრაფიულად, ისე მუსიკალურად.

### აუდიომაგალითები

- „კახური ლეკური“ გარმონსა და დოლზე. შემსრულებლები ზურიაშვილი და კარდენახიშვილი. ჩანერილი მიხეილ ჩირინაშვილის მიერ სოფელ ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი), 1948 — №2007. მსგავსი ძველ ქართულ ფილმში ნიკო-ნიკოსა და დაირაზე შესრულებული „ლეკურის“; „ლეკური“ დუდუკსა და დოლზე, ჩანერილი მიხეილ ჩირინაშვილის მიერ (ქალაქური ვერსია) — №1998; „ლეკური“ (ცეკვა ხორუმის ნანილი) აჭარულ ჭიბონზე, შემსრულებელი სურმანიძე. ჩანერილი კახი როსებაშვილის მიერ 1952 წ. — №2038.
- „ლეკური“ სალამურზე, შესულია ქართლის მასალაში (დისკი 14: №13, 15).
- დასაკრავი გარმონისთვის, ჩანერილი თამარ ქააძის მიერ სოფელ ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი) (t. 200-4).
- უენო სალამურზე დასაკრავს ასრულებს ფირუზ ალიაშვილი (t. 53-1).

### გამოყენებული ლიტერატურა

ბარამიძე, ბარამ. (2015). „ქართული ხალხური ცეკვა და კლასიკური ქორეოგრაფია“. სერიაში: „ქართული ცეკვის პირველი ოსტატები, საკითხავი ახალგაზრდებისთვის. ტ. 29. თბილისი: ციცინათელა.

ბარონი დე ბაი საქართველოში. (2011). ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ. თბილისი: არტანუჯი.

გვარამაძე, ლილი. (1957). ქართული ხალხური ქორეოგრაფია. თბილისი: ხელოვნება.

გვარამაძე, ლილი. (1962) „ცეკვა ქართული“ ანა ანდრონიკაშვილის შესრულებით“. უურნ.:

„საბჭოთა ხელოვნება“, №4.  
გვარამაძე, ლილი. (1997). ხალხური „ცეკვა ქართული“. თბილისი: ფოლკლორის სამეცნიერო  
და მეთოდური ცენტრი.

გვარამაძე ლილი, (2017). მთაწმინდელი მოცეკვავე, ალექსი ალექსიძე 1874-1934. თბილისი:  
კენტავრი.

ზურაბიშვილი, ილია.. (1949). ხალხის შემოქმედი გენია. თბილისი: ხელოვნება.

თათარაძე, ავთანდილ. (1999). ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები.  
თბილისი: თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

კოკელაძე, გრიგოლ. (1977). მოსაზრება „ლეკურის“ შესახებ//ქართული ცეკვის შესახებ.  
თბილისი, ხელოვნება.

სვანიძე, გიორგი. (1962). „ლეკური თუ ლეგური“. ჟურნ.: საბჭოთა ხელოვნება, №9.

ჯავრიშვილი, დავით. (1951) „ცეკვა „ქართული“. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ჭანიშვილი, რევაზ. (2002). ნერილები ქორეოგრაფიაზე (ნ. I), თბილისი: თანი.

Mourier, Jules (1883). *La Mingrélie (ancienne Colchide)*. Odessa: Librairie Rousseau.

Mourier, Jules (réd.) (1889). *Le Caucase illustré*, 2. Tiflis: Imprimerie Martirossiantz.

Гакстгаузен А., Закавказский край, ч-1, Санктпетербург, ч-1, 1857.

Зиссерман А., Двадцать пять летъ на Кавказе (1842-1867), ч. 1 (1842-1851), С-Петербург, 1879.

Келдыш, Юрий. (ред.). (1976). Лезгинка. Музыкальная энциклопедия. Т.3. Москва, Советская  
Энциклопедия. Москва.

Штпейнпрес, Б., Ямпольский, Ю. (ред). Лезгинка. Музыкальный энциклопедический словарь.